

№ 14-11/334

" 29 " 02 2012 წ/რ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი  
პროექტის დირექტორს ქ-ნ ლ. თოდუას

ქალბატონო ლია,

თქვენი ამა წლის 20 თებერვლის №2-120 წერილის (21 თებერვალს შემოსული №626) პასუხად განმეორებით გაცნობებთ, რომ შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს მიერ დამონტაჟებული პოლონური ფირმა "APATOR METRIX"-ის გაზის მოცულობითი მრიცხველები G4T აღრიცხავენ დახარჯული გაზის მოცულობას.

გამზომი ბლოკის სამუშაო (ციკლური) მოცულობა შეადგენს 1,2 კუბურ დეციმეტრს და თუ არ მოხდა გამზომი ბლოკის შევსება იგივე მოცულობის აირით, ვერ მოხდება მისი დაცლაც და შესაბამისად მთელელი მექანიზმის ციფრული მაჩვენებლების ცვლილებაც.

აქედან გამომდინარე ქსელში წნევის ცვლილება იწვევს გამზომი ბლოკის უფრო ნელა ან უფრო ჩქარა შევსებას და დაცლას, რაც თავის მხრივ იმოქმედებს მაჩვენებლის ცვლილების სიჩქარეზე და არა მოცულობის აღრიცხვის სიზუსტეზე.

პატივისცემით

ა. თაქთაქიშვილი

სპეციალური მმართველი

მოამზადა: ე. სარია

ტ. 37 00 23